პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 24 (19166) სამშაბათი, 29 იანვარი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

1984 წლის შედეგები და მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები განხილა რესპუბლიკის მშრომელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ. კრებაზე მიწვეული იყვნენ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ქედიშვილმა.

კრების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

მშენებელთა წარმატებები განვლილ წელს ეჭვს არ იწვევს, აღინიშნა კრებაზე. გადაჭარბებით შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელობის ექვსივე ასამოქმედებელი ობიექტი, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი უწევდა კონტროლს, საექსპლოატაციოდ გადაეცა. ეს არის რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ გაერთიანებების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ელშავალოსშენებელი ქარხნის, თელავის ღვინის ქარხნის ახალი საწარმოო სიმძლავრენი და კინდღის სასათბურე კომბინატი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კონტროლს დაქვემდებარებული 28 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობიდან მწყობრში ჩადგა 24.

ისევე, როგორც მეთერთმეტე ხუთწლედის წინა წლებში, კარგად იმუშავეს ბინის მშენებლებმა, რომლებმაც საექსპლოატაციოდ ჩააბარეს მილიონ 185 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ დავალებაზე 16 ათასი კვადრატული მეტრით მეტი. გადაჭარბებით შესრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მწყობრში ჩადგომის გეგმებიც. წინასწარი პროგნოზებით, 1985 წელს და მთლიანად ხუთწლედის მანძილზე ბინების, სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ამოქმედების გეგმა შესრულდება.

შარშან ორი სამინისტრო — მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობისა — გაერთიანდა საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური მშენებლობის სამინისტროდ. ეს, როგორც კრებაზე აღინიშნა, მოსპობს პარალელურად მოქმედ წვრილ-წვრილ სამშენებლო ორგანიზაციებს და გააძლვალებს მათ, უკეთ შეუხამებს ერთმანეთს მართვის დარგობრივ და ტერიტორიულ პრინციპებს, უფრო რაციონალურად გადაწყვეტს მატერიალური, ტექნიკური და შრომითი რესურსების განვითარების საკითხებს, ხელს შეუწყობს შემხვედრი ტვირთზედის შემცირებას.

მიღწეულს ჯერჯვნად შეფასებასთან ერთად, კრების მონაწილეებმა დეტალურად გააანალიზეს არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები. ბევრ შემთხვევაში სამუშაოთა ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

კრებაზე ითქვა, რომ ხშირად ირღვევა ცალკეული ობიექტების მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადები. მაგალითად, ბებინოს მემოცურეობის კომბინატი 1980 წლიდან შენდება, ობურეის სასათბურე კომბინატის მშენებლობა, რომელიც 1979 წელს დაიწყო, მხოლოდ 1986 წელს დამთავრდება. დაირღვა ბუნებრივ მემოცურეობისა და ჯრწანისის მეღორღობის კომპლექსების, სხვა ობიექტების მწყობრში ჩადგომის ვადები.

მშენებელთა მეშვეობა შარშან კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დარღვევები მთათვის ცემენტის, შიფერის, მსუბუქი სახურავი და სამეანოდ მასალების მიწოდებაში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს ცემენტის ქარხნებმა, რომლებმაც მშენებლებს 166 ათასი ტონა ცემენტი დააკლეს.

ცალკეულ მშენებლობებზე, სახლი გაყვანეს კრების მონაწილეებმა, დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ მანქანებსა და მექანიზმებს, მცირეა მათი ცვლადობა, ნელა ითვისებენ სახლთაშენებელი და სხვა კომბინატების საწარმოო სიმძლავრეებს, მაღალია ხელის შრომის დონე. კრებამ ცნობად მიიღო, რომ განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მშენებლობები მატერიალური რესურსებით, საჭირო რაოდენობის მუშებით.

აღინიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ ღრმად არ სწვდება მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს, არ იჩენს აქტიურობას სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ორგანიზაციაში, მშრომელთა პატრიოტული ინიციატივების გავრცელებაში, მრწინავე გამოცდილების დანერგვაში არსებული ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად, არ მოითხოვს ადმინისტრაციისაგან ნაკლარ ვალდებულებათა შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას.

მომდინარე წლის პროგრამა ძალზე ვრცელია, იგი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს. აშენდება მრავნაგლიზე მეტი ბინა, სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულება. იმისათვის, რომ წარმატებით გავართვათ თავი ამ პროგრამას, საჭიროა, ითქვა კრებაზე, საქმით მივადწიოთ ძირეულ ძვრებს კაპიტალურ მშენებლობაში. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ საიმისოდ, რომ განხორციელდეს ასამოქმედებელ ობიექტებზე ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციის ღონისძიებები, დაჩქარდეს ძირითადი ფონდების ამოქმედება, შემცირდეს დაუთავრებელი მშენებლობის მოცულობა და დაუდგმელი მოწყობილობის ზენორმატიული მარაგი.

პარტიულმა საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების პრობლემებს. აღინიშნა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს ასამოქმედებელი ობიექტების მწყობრში ჩადგომას ზუსტად ვადაზე, ნედლეულის, სამობა-ენერგეტიკული რესურსებისა და მასალების მოჭარნეობას, მშრომელებში კოლექტივიზმის გრძნობის ჩამოყალიბას, მთელი კოლექტივის შრომის საბოლოო შედეგებისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაზრდას.

საჭიროა აღმოიფხვრას მანკიერი პრაქტიკა, როცა იგეგმება ისეთი ობიექტები, რომელთა დროული და ხარისხიანი აშენება არაიერეალურია. სამშენებლო ორგანიზაციები, შემკვეთთა წარმომადგენლები უფრო სერიოზულად უნდა წყვეტდნენ საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების საკითხებს. ეძიებდნენ ყველა სახეობის რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს, უმთავრეს ამოცანათა შორის აყენებდნენ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, მუშათის ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების ყოველმხრივ შემცირებას.

კაპიტალური მშენებლობის ყველა უბანზე არის დიდი გამოუყენებელი რეზერვები, თქვეს კრების მონაწილეებმა. ამ რეზერვების ამოქმედება ნიშნავს ისე მუშამაბს, როგორც პარტია მოითხოვს; უკეთ, უფრო ეფექტიანად, მეტი უკეთგებით, წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებას, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრას.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ო. მ. ივანაშვილი, ნ. შ. ენდელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები. (საქინფორმი).

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ



ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ

ასეთი შეხვედრა პირველად ათი წლის წინ მოუწყვეს ამმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირს ნაზო პეტრიაშვილს, როცა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მას შემდეგ სოფელს დაეტყო დეპუტატის ზრუნვა, წარმატებას წარმატება მოპყვა, გამდიდრდა ნაზო პეტრიაშვილის შრომითი ბიოგრაფია და ამომრჩევლები ახლა უფრო დიდი სიყვარულით, ურყევი ნდობით ხვდებიან რესპუბლიკის დამსახურებულ ზოოტექნიკოს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ლენინის, შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანს, საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობების დელეგატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, სოციალისტური შრომის გმირს.

ამჯერად ქვემო ალვანის კულტურის სასახლეში შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან შესავალი სიტყვით გახსნა 230-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დურმიშხან აზიკურმა. ხალხის რჩეულის ამჟამინდელ წარმატებებზე ამომრჩევლებს მოუთხრო ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნდობით აღჭურვილმა პირმა ნაზო ხაპარიძემ. გამომსვლელების სიტყვებში განსაკუთრებით გაისვა ხაზი დეპუტატობის კანდიდატის მიერ მიმდინარე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებებს. ითქვა, რომ ნაზო პეტრიაშვილის ბრიგადამ ხუთწლედი 3 წელსა და 10 თვეში დაამთავრა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 380 ტონის ნაცვლად აწარმოვა 480 ტონა ხორცი, 7053-ის ნაცვლად მიიღო 7181 სული ნამატი, საკვების ხარჯვა შეამცირა 4 ერთეულით.

თავის გამოსვლაში ხალხის რჩეულმა შრომა შეფასა ბრიგადის წევრების ზინა ჯაბუადიძეს, დარიკო ხაჩიურიძეს, ლია გაწერეიძეს, ლალი ფარეულიძეს, ლეილა ქაჯაეს და მადლობა გადაუხადა ყველა ამომრჩეველს დიდი ნდობისათვის.

(„კომუნისტის“ საკ. კორ).

ᲮᲔᲠᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ: ნაზო პეტრიაშვილი.

24 თებერვალი საპარლამენტო საარჩევნოების დღე

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲠᲔᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა ერთხმად გაატარეს რეგისტრაციაში დეპუტატობის კანდიდატებად: გურჯაანის რაიონის სოფელ ვანისუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ელიზა რუბენის ასული ონანოშვილი** — № 195 ელექციების საარჩევნო ოლქში; საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის რექტორი **თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლოლაძე** — ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის № 61 საუკეთესო საარჩევნო ოლქში; ქალაქ ჭიათურის ზონის სოფელ ყორნისის მეურნეობის მეჩიკე **გულნარა ალექსანდრეს ასული ჩაგელიშვილი** — № 247 ქალების საარჩევნო ოლქში; თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი **პანტიოკ შალვას ძე თორდია** — ქალაქ თბილისის საჭარნარის რაიონის № 88 **მიდრეშვილნელთა** საარჩევნო ოლქში; განთიადის მეწყვეტობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ლილი შალვას ასული დათუაშვილი** — დმანისის რაიონის № 152 **განთიადის** საარჩევნო ოლქში; საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **რუხუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე** — ბუდაუთის რაიონის № 378 **ბუდაუთის** საარჩევნო ოლქში; დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწყემსი **ვასილ ივანეს ძე ბურდული** — № 189 **ფასანაურის** საარჩევნო ოლქში; საწარმო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ შემფუთავი **მაგული შალვას ასული ვაშაძე** — ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 26 **პირველი მაისის** საარჩევნო ოლქში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ალექსანდრე �იმიტრის ძე ალექსიძე** — მახარაძის რაიონის № 311 **მახარაძის ზვავის** საარჩევნო ოლქში; სოფელ შუახევის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ფატი მამედის ასული მაჭალიძე** — № 426 **შუახევის** საარჩევნო ოლქში; თბილისის მექანიკური ქარხნის მეხეხვი **მიხეილ მიხეილის ძე მარტინოვი** ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის № 51 **სამრეწველო** საარჩევნო ოლქში; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ნოდარ მიხეილის ძე მაჭალიანელიშვილი** — ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 21 **მშვიდობის** საარჩევნო ოლქში; ღრმაღელვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ნანული მელენტის ასული კუპრაძე** — ლენინუთის რაიონის № 310 **სუფსის** საარჩევნო ოლქში; თბილისის საკელი ინსტიტუტის „ანალიზხელსაწყოს“ აპარატორი **ეა ხელსაწყოების** მარგალიტა **ვიიჩესლავ სერგის ძე კრასნობაევი** — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 76 **კახეთის** საარჩევნო ოლქში; საწარმოო გაერთიანება „აფხაზთამბაქოს“ თამბაქოს დამხარისხებელი **დიანა ვარანის ასული ვაბურკიანი** — ქალაქ სოხუმის № 367 **ეშმის** საარჩევნო ოლქში. (საქინფორმი).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველი თვე შუდამ არის გასული წლის შედეგების ანალიზის დრო, შემხვედრი გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შემუშავების და მიღების დრო, შრომითს კოლექტივებს შორის სამეურნეო კავშირურთიერთობის დაზუსტების პერიოდი. ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ბევრი თვალსაზრისით არის განსაკუთრებული. საბჭოთა ადამიანები აქტიურად ეზიდებიან სკკპ XXVII ყრილობისათვის, საზეიმოდ აღინიშნავენ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს, სტახანოვური მოძრაობის ნახევარი საუკუნის იუბილეს. ახლოვდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე.

„ოდესაც, ყოველივე ეს განსაკუთრებულ პოლიტიკურ აზრს ანიჭებს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ახალ წელს გველის, — აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. — მან უნდა ჩაიაროს იმ ნიშნით, რომ მოელი ძალები მოვახმაროთ ახლანდელი ხუთწლედის წარმატებულ დამთავრებასა და მეთორმეტე ხუთწლედისათვის კარგი, მტკიცე ბაზის შექმნას“.

ხუთწლედის საფინიშო ეტაპზე ეკონომიკის დინამიკური განვითარებისათვის საამქველი საუძველია ჩაყრილი. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მოწმობს, რომ დადებითი ძვრები არის სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის მუშაობაში. საწოგადოებრივი წარმოება ვითარდებოდა დინამიკურად, კეთილდღეობა ამაღლდა. შრომითი კოლექტივების დიდი უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც თვალსაწინოებდა შრომის ნაყოფიერების ზრდიდან გეგმის გადაჭარბებით ერთი პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების დაბალებით შემცირების ნახევარი პროცენტით. უფრო მაღალ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს, ყირგიზეთისა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების მრეწველობის მუშაკებმა. სხვებზე უფრო წარმატებით ასრულებენ მიწოდების გეგმებს ფეიერადი მეტალურგიის სამინისტროს, ბაკის მრეწველობის სამინისტროსა და მშიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოები.

ამავე დროს ყოველ რესპუბლიკასა და დარგში არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი. არ ეუნდა დაეუშვათ, რომ ადამიანები თვითდაშეშედებას მიეცნენ, შეანელონ ძალისხმევა ტემპი მუშაობაში. მით უმეტეს, რომ ჩვენს სამეურნეო საქმეებში ვითარება მიმდინარე წლის სტარტზე რთული შეიქნა. ქვეყანის ბევრ რეგიონში ძლიერი უინეები დიოქრა, ზოგან ინდუსტრიისა და ტრანსპორტის რიგმულ მუშაობას ხელს უშლის ნაგჩერი და ქარბუქი.

მეურნეობრიობის გამოცდილება და პრაქტიკა მოწმობს, რომ მკაცრი ზამთრის პირობებში შეიძლება და კიდევაც უნდა შევინარჩუნოთ წარმოების სწრაფი ტემპი. ამისათვის უნდა გავაუქმოთ ყველა სახეობის სათბობის, და უწინარეს ყოვლისა, ქვანახშირისა და ნავთობის ოპოკუების ტემპი. სათბობთა, სითბოთა და ენერგიით მომამზადებლთა საიმედო უზრუნველყოფის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ რესურსების უფრო ეკონომიური ხარჯვა თითოეულ საწარმოში, ყოველ საამქროში, მეურნეობაში, საცხოვრებელ და სასამსახურო შენობაში. მკვეთრად უნდა შეეამციროთ ავტოტრანსპორტის ცარიელი გარბენები, უმეი ხელთ მოტორების და მოწყობილობის მუშაობა, აღმოვფხვრათ რკინიგზის შემადგენლობათა არარაციონალური შემოსაფლელი მარშრუტები.

რუხეთის სუნო ავტოტრანსპორტის მოელ რიგ საწარმოებში ახლა გრძელდება ავტომეურნეობათა და მძღოლთა მუშაობის შეფასების სრულყოფის ექსპერიმენტი. ეოფრების ხელფასი ახლა დაფოკდებული ვაჭდა არა ტონა-კილომეტრების ზრდაზე, არამედ სატრანსპორტო მომსახურების შესრულებაზე, მანქანების ეფექტიან გამოყენებაზე, საწვავის დაზოგვაზე. ლენინგრადის № 1441 ავტოკოლონის მუშაობამ ახალ პირობებში ცხადყო, რომ ექსპერიმენტმა შესაძლებლობა მისცეთ მანქანების საერთო გარბენის თითქმის მესამედით შემცირების პირობებში მოლიანად შეეხსოვლინათ ტვირთზედის ყველა შეკვეთა და დაეზოგათ 25 პროცენტი სათბობი. ცხადია, რომ ექსპერიმენტი ავტოტრანსპორტზე, ისევე როგორც სხვა დარგებში, ყოველნაირად უნდა განვავითაროთ და გავაფართოოთ.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საწოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციას. კიდევ უფრო სწრაფად უნდა განვაახლოთ სამუშაო ადგილები, დავნერგოთ უფრო სრულყოფილი ტექნიკა და ტექნოლოგია. საამლეთა დანერგვის გეგმებისათვის ისევე მკაცრად უნდა მოეკითხოდეთ, როგორც ძირითადი საწარმოო დავალებებისათვის. საჭიროა დავნერგოთ მეურნეობრიობის ინტენსიური მეთოდები არა მარტო ინდუსტრიაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც, ტრანსპორტზეც, მშენებლობაშიც.

წინ დიდი და რთული ამოცანები გველის. მათი გათვალისწინებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ადამიანებს უნდა განუმარტონ, თუ რა მნიშვნელობები წარმართონ უწინარეს ყოვლისა მოელი მეცადინეობა თავიანთ საწარმოში, კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში. პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი უნდა გახდეს შრომითი კოლექტივების დარაზმვა წლის დავალებების და სოციალისტური ვალდებულებების განადგურებისათვის, მოელი ნოემბერსა და ეკონომიკურ ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐ

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1626“

1985 წლის 24 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1626“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატური ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

„ყაზორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

Კ. Უ. ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ
ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 27 იანვარი. (საკრედსი). სსრ კავშირის პარიზის საელჩოში გიმართა პარფანგეფთის საზოგადოებრიობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს წერილი „ხალხი და პარტია ერთიანნი“ ოფიციალური წარდგენის საზეიმო ცერემონია. წიგნი მასობრივი ტირაჟით გამოუშვა უდიდესმა გამომცემლობა „ᲔᲚᲘᲜᲘᲐ“. გამომცემლობის გენერალურმა დირექტორმა კ. ნელსენმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთში საბჭოთა ხელმძღვანელის წიგნის გამოშვება საშუალებას მისცემს ფართო ფრანგმა მკითხველ ეკ. ეი გიეკოს სსრ კავშირს, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო . პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართულ ცერემონიაზე წარმოდგენილი იყვნენ საფრანგეთის პოლიტიკური და პარლამენტის წევრები, საგარეო უოთიერთობის სამინისტრო, დიპლომატიური კორპუსი, ცერემონიას ესწრებოდა ასზე მეტი ფრანგი ჟურნალისტი, მათ შორის უდიდესი გაზეთებისა და წამყვანი ტელეკომპანიების მიმომხილველები.

წიგნი იწყება ფრანგი მკითხველებისადმი კ. უ. ჩერნენკოს მიმართვით, რომელიც 1984 წლის ნოემბერში დაიწერა, მასში ნათქვამია:

„აარიზელ მჭონია შემოხვევა, მათ შორის საფრანგეთში ყოფნის დროსაც, დაეწერმუნებულიყავი, რომ თქვენს ქვეყანაში დიდი ინტერესით ეკიდებიან საბჭოთა კავშირს, მისი ხალხის ცხოვრებას. სწორედ ამიტომაც გამოვეგზავნე ამ ფრანგი ეკონომისტ „ᲔᲚᲘᲜᲘᲐ“ თხოვნას გამოვშვათ ჩემი გამოსვლებისა და სტატიების კრებული და დამეწერა მისთვის წინასიტყვაობა. ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უწინარეს ყოველისა მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენში იცნობენ ფრანგი ხალხის წარსულსა და აწმყოს, მის კულტურას, ისევ სიტენ მის წელილს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. რუსეთის დემოკრატიული და რევოლუციური მოძრაობის პირველი ნაბიჯებიდანვე მისი სუკეთესო წარმომადგენლები ᲒᲚᲔᲑᲘ სწავლობდნენ საფრანგეთის მოწინავე აზრის განვითარებას, იმ ხალხის რევოლუციურ ტრადიციებს, რომელმაც დაანგრია ბასტილია, შექმნა პარიზის კომუნა, გამიდიდრა კაცობრიობა პროგრესის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებით.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის კარგი ურთიერთობა უშიშროებისა და სტაბილურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ევროპის კონტინენტზე, სადაც, როგორც ცნობილია, ატყდა კატაკლიზმისათვის ორი გამაჩახანგებელი მსოფლიო ომი. ჩვენ მოკავშირეები ვიყავით ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის კონფლიქტური სიტუაციები. და თუმცა თანამედროვე ეერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთი პრობლემის გამო ჩვენს შორის არ არის თანხმობა, ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარტიული ცხოვრება: ინსტანციებ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დასკვნიათმებს

მოყვარეს პირში უძრახე...

სოფელში ამბობენ ხოლმე: აგრონომს შეუძლია სოფელი კიდეც ააშენოს და კიდეც დააქციოსო. და ამაში სპეციალისტს ეოდნეს, გამოცდილებას, ხასიათს, ადამიანურ თვისებებს გულისხმობენ.

კარგი ჭირნახული უპირველესად კარგი აგრონომის დამსახურებაა, თუმცა მრიგადირზე, მექანიზატორზე და ამინდზეც ბევრია დამოკიდებული...

— მე ყოველთვის ვცდილობ სოფელსა და ხალხს გამოვადგე, რაც შეიძლება მეტი ჭირნახული მოვიწიო, იტყვის ხოლმე გოგია ხუნაშვილი, თორემ ღვთის ანაბარად მტკვეული მინდვრიდან მიღებული მოსავლის იმედით ჩემი მტერი ყოფილაო.

სწორია აგრონომი. დღეკანდელ პირობებში თუ ყველფერს — აგროტექნიკური ვადების დაცვას, სასუქების შეტანას, ნათესების მოვლა-პატრონობას დროული ყურადღება არ მიაქცევ, რიგიან მოსავალს ვერ მიიღებ.

გოგია ხუნაშვილი, რომელიც ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, მთელ სიღნაღის რაიონში ცნობილი, როგორც მცოდნე, გამოცდილი, თაფარიგიანი აგრონომი. იგი არაერთხელ ყოფილა არჩეული პარტიის სიღნაღის რაიონული კონფერენციების დელეგატად; საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატობის პატივიც ერგო. შარშან კი რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება მიანიჭეს.

რჩგორც ვხედავთ, სოფლის აგრონომს პატივი და ღირსება არ მოაკლებია, მაგრამ ეს ერობაშად არ მოსულა. გ. ხუნაშვილმა ამ ოციოდე წლის წინათ ჯერ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. იქიდან მოკიდებული ატარებს აგრონომის ძმიმე ტვირთს და მახი საფიქრალი წლების მანძილზე მხოლოდ ეს იყო — მინდორი, ხნული, თესლი, ჯეკილი, ანეული, ჰექტარიდ ეკეთები, სასუქები, ყანა, დაპურებული თავთავი, ბეკალა, ავდარი, წლის სარჩო-საბადებელი...

და აი, ამ დღეებში პარტიულმა კრებამ სოფლის აგრონომს, კომუნისტს გ. ხუნაშვილის აგარაში მოისმინა. ანგარიშს მისი პარტიული დახასიათების პროექტი მოჰყვა, მერე კი თანამოსაკმეთა სიტყვები.

კომუნისტები თუ უპარტიოები კარგად ახასიათებდნენ თავიანთ თანასოფლელ სპეციალისტს.

— ჯერ არავის უნახავს, რომ ჩვენი გოგია ზოგიერთივით უსაქმოდ გამოსულიყოს სოფლის სალაყბოზე! მაგისთანა ჯაფისკაცი და მიწის მოცოდინადელი მეორე არ მოიძებნება ბოდბეში!

— ამ ბოლო წლებში უხე მოსავალს რომ ვიღებთ, გოგიას დამსახურებაა.

— ეკაცს სიმარილე არ უნდა დაეუკარგოთ. ამიტომ რაც ჯილდოები და პატივი რგებია ნილად, ყველფერი ალალი და დაუყვედრებელია!

— ულალალო კაცია, სინდის-ნამუსიანი, პირიანი, რასაც იტყვის შეასრულებს. სოფლის ახალგაზრდობაში კარგი სახელი აქვს. ვინ მოთვლის რამდენი ბაღმაცი, ლოთი და ვერანა მოარეულ, ჩაადგა გულისხმაში და შრომაში ჩააბა! — ამბობდნენ კრების მონაწილენი.

მაგრამ თანასოფელელებმა მინდერის მესაიდუმლე არ დაზოგეს და ნაკლიც გიუსხენეს.

— მართალია, კარგი სპეციალისტია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, — თქვეს კომუნისტებმა, — მაგრამ მეტისმეტად ლმობიერი და ხათრიანია. ამ ხათრიანობით ზოგჯერ სხვის გასაკეთებელს თვითონ აკეთებს, ოღონდაც არავის აწყენინოს. მაგრამ სოფლის აგრონომი და ხათრიანობა ერთად როგორ იქნებაო?! მორიდებული კი არა, მინდერის ბატონ-პატრონი ამოღებული ხარკალივით უნდა იყოს! ხათრიანობა? არწყენინებაო? კეთილი, მაგრამ ეს ვის ხარჯზე? — წლის მოსავლის, ხალხის დოვლათის ხარჯზე? არა, თქვენი ჭირიმე, ჯობია ვინც უნდა განაწყენდეს, ოღონდ საქმემ არ წააგოს. ამიტომ ჩვენმა აგრონომმა უსათუოდ უნდა დაძლიოს ხათრიანობა და ყველას მომრთი ისეთი პრინციპული იყოს, როგორც კომუნისტს შეეფერის!

გ. ხუნაშვილს ყველფერი ენიშნა, ამიტომ თავის გამკრიტიკებლებს არც შეკამათებია, არც თავის გამართლებას მოპყოლია. ეს კი შენიშნა: რაც ითქვა, ეს ნაკლოვანი თვისებები მართლაც მახასიათებს და ვეცდები მალე დავძლიოო.

კრებას, სოფელს, საქმესაც სწორედ ეს უნდა.

ვაზის ტრფიალი

თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტის კარები ყოველთვის ღია ყოფილა შეაღო. თავმჯდომარე ნოდარ ბასსოლიანი სწრაფად წამოდგა, მოსულს კარებში მიეგება, ხელი შეაშველა და მაგიდასთან მიიყვანა, სკამზე დასვა და ყვირდით მოუჯდა.

— რა გაგიჭირვებიათ, ძია გიორგი, — შეეკითხა თავმჯდომარე.

— რა უნდა გამიჭირდეს, შვილო, ეხლანდელ დროში ვისაც ხელის გატეკება შეუძლია, ოაფერი გაუჭირდება. მეც თქვენმა გაჭირვებამ მომიყვანა, სოფლის ახალგაზრდობის ამბავი მაწუხებს, თოლვეს ზედ აკრავს ჩვენი სოფელი და ახალგაზრდობა იქ მიდის სამუშაოდ. ვენახის მომვლელი ცოტაღა რჩება სოფელში. ვენახს უნდა მივხედოთ, მოსავლელად ოჯახებს მივუჩინოთ. იმედი აქვს, ეს ოჯახები კოლმეურნეობის ვენახებს საკუთრივით ინახავენ, შვილებსაც დაასაქმებენ და... ვეფხვი ჭაუფის ინვალიდი ბრძანდებით, სამამულო ომში ფეხი დაკარგეთ და... თანაც მოხუცი ხართ. დაიმსახურეთ დასვენება, სახელგაფენილ ფხიერ თქვენზე ზრუნავს, მე არა მაქვს უფლება გამეშაოთ.

— სამამულო ომი რომ დაიწყო, მე სასოფლო საბჭოში ვმუშაობდი, ჯარში წასვლა არ მეხებოდა, ზურგში იმდენი საქმე იყო, აქაც შემეძლო ჩემი ვალი მომეხადა სამშობლოს წინაშე. მაშინ მე მობილიზედ წყვიდი ფრონტზე, ამის გამო არავინ დაუსჯიათ, ნურც თქვენ გეშინოთ, მე ნებაყოფლობით ვდებ ხელშეკრულებას ვენახის მოსავლელად.

თავმჯდომარე კარგად იცნობდა რვა ათეულ წელს გადაცლილ ბერ გიორგი ვაწაძეს, იცოდა მისი ზრომიანობა-ყაყარეობის ამბავი, ახლოსვდა მისი ამაგი სოფელზე, კოლმეურნეობაზე. გაახსენდა თავმჯდომარეს ცალფეა კაცის სოფელში დაბრუნება, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული საერთო საქმეს რომ არ ეშველებოდა, გაახსენდა მასთან ერთად მუშაობის პერიოდი, მაგრამ... ვენახის ჩაბარება მისთვის მაინც ძმიმე ტვირთად ეჩვენებოდა, მაგრამ გიორგის შეუვლობის ამბავიც კარგად იცოდა.

— კარგი, მოველაპარაკები გამგეობის წევრებს, სულკეთილო ვენახს შეგირჩევთ, რომ შუმაობა გაგიიოლოო.

— მე შეღავათები არა მჭირდება, ავიდეს ყველაზე ძნელად დასამუშავებელ ვენახს, ახალგაზრდებს მინდა ვუჩვენო, როგორ უნდა უყვარდეთ ვაზი. ჯერ კიდევ შემძლია მუშაობა, სოფლის ბიბეზეს მინდა ვუთხრა: „ბებერი ხარისა რქანიც ეწვეთან".

გიორგი წამოდგა. თავმჯდომარემ თავის მანქანამდე მიაცილა, მძღოლს უთხრა სახლში ჩაიყვანონო.

გიორგი ვაწაძემ ვენახის სხვლა დროულად მოხდა, ნეკნინატორებს მოსავლენებას ამ ალეფდნენ, დროულად აწამლეს ვენახს ბორდოიანი სითხე „კობალტიანი" ბორდოიანი ნახსავეთ. მეფულისთან ერთად მეფეს წვლა გამოკლებულობა ვენახს ... „ცალფეა" ... ბოლოს ... მოსავალი მოსცდა, ნახევარი ჰექტარიდან გიორგი ვაწაძემ საგგიმოს 33 ცენტნერი გადაიპარა, არც ერთი მარცვალი ყურძენი არ გაპარულა, 85 ცენტნერი (ჰექტარზე 170 ცენტნერი) მალლობრისმაზოვანი ყურძენი სახელმწიფო მარანში ძარებით გაგზავნა და ომისა და შრომის ვეტერანმა თოლო ლაფერ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს დაუმტკიცა, რომ კარგ მევენახეს ყურძენი არ „გაეპარება".

ახლა ისევ ვენახებში არიან მეზრეკეები, წლევანდელ რეკორდზე ზრუნავენ. ახალგაზრდებს გიორგი ვაწაძის ეს გარჯა დაე, გაკვეთილად გამოადგეთ.

დ. ბერგიშვილი,
„კ.მუნუნტაძის" სკ. კორ.

არჩევნების შესახვედრად

№ 2 სკოლის აგიტპუნქტი ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალია ქალაქ კასპში. აქ ეწყობა საინტერესო საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ფართო არჩევანი. აგიტპუნქტში შეგიძლიათ გიგეცნოთ ფაქტი „ამომრჩევლის ხმის" მდიდარ ინფორმაციას, პედაგოგები ესაუბრებიან ამომრჩეველებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო ოთახებზე.

სურათზე: კასპის № 2 საშუალო სკოლის პედაგოგები ოლღა ბახარაძე, ოთარ ჩიტელაშვილი, ანოლდა ამედაშვილი და სოფიო ბაკაძე ემზადებიან ახალგაზრდა ამომრჩეველებთან მორიგი შეხვედრისათვის.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სახალხო, შემოქმედებითი ქიეგის შედეგი

ოცი მილიონი მანეთით და მეტად შეამცირეს შარშან მატერიალური რესურსების დანახარჯები, ამასთან გაადიდეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება თბილისის ინდუსტრიულ საწარმოთა კოლექტივებმა. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არის დიმიტროვის სახელობის საკავიცო ქარხანა და საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი", ორ დღეს იმუშაონ.

— მაგრამ არის პირდაპირ საწინააღმდეგო ფაქტებიც, არის მფლანგველობის, სახელმწიფო ინტერესების დაუცველობის მაგალითები. — ასე დაიწყო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტთან თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ს. ჯანდღავამ.— და ამ ფაქტებს გვერდს არ უვლიან რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო კონტროლიორები, რომელთა რიგებში თითქმის 50 ათასი კაცია გაერთიანებული. მომჭირნეობა, აღნიშნა სახალხო კონტროლიორთა სრულიად საკავშირო თათბირზე ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, უნდა გახდეს მთელი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მტკიცე კანონი. და იმთ წინააღმდეგ, ვინც ამ კანონს არღვევს, ჩვენ ულმობელ ბრძოლას ვაწარმოებთ.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა აღნიშნა, რომ თბილისის მთელ რიგ საწარმოებში იგრძნობა ლითონის გადაზარჯვის საგანგაშო ტენდენცია. სახალხო კონტროლიორებს დაევალათ გაიერკვიათ ამის მიზეზი. თურმე, ქარხანა „შენეფლატაში", მაგალითად, არ ჭკონიათ ლითონის სახეობრივის წინანშარი გაგიგარიშება, მას მიაბლოვნი განსაზღვრავდნენ. არ იყო გათვალისწინებული ამ მასალის პროფილი და სორტამენტი, მისი ხარჯვის ნორმები. უფრო მეტიც, აქ არავის არ დაუსახავს მიზნად გამოიყენებინა არმატურის ნარჩენები.

ამგვარი უყაირათობა გამოავლინეს მთელ რიგ სხვა საწარმოებშიც. შემოწმების შედეგების მიხედვით სახალხო კონტროლის კომიტეტმა მკაცრად დასაჯა დამნაშავენი. ამავე დროს სპეციალისტთა დახმარებთან შემოშავდა და უკვე ხორციელდება ლითონის ნაგლინის რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი, რის შედეგად გამოვნინდა 350 ტონის ოდენობის სარეზერვო შესაძლებლობანი: თითქმის არც ისე დიდი მიღწევაა, მაგრამ მან დასაბამი მისცა სხვა კეთილ ტრადიციას — უფარო უნარიანად მოეკიდონ მატერიალურ რესურსებს, განსაკუთრებით დეფიციტურ ლითონს, რომლის მომჭირნეედ ხარჯვის გზით წელს დათვალისწინებულია 60 პროცენტით უხრუნველყოფ მასზე დამატებითი მოთხოვნილება.

— არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა უნარჩენი ტექნოლოგიების შექმნაც, სპობის-ენერგეტიკული. რესურსების დაზოგვა. როგორ მოქმედებენ ამ მიმართულებით სახალხო კონტროლიორები?

— ისინი აქაც არ სხერდებიან უყაირათობისა და ფფლანგველობის ფაქტების აღნუსხვას, ეხმარებიან ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზების ძიებაში. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო კონტროლიორებმა დაადგინეს, რომ ქალაქის მრეწველობაში რაციონალურად არ იყენებდნენ დაახლოებით 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. მიზეზი ბევრი იყო: უქმად მოამუშავე მოწყობილობანი, მისი სიმძლავრის მეტად დიდი მარაგიც და სხვ. რეიდების მასალები ამოსავალი წერტილი გახდა საწარმოთა ენერგოოდსტურეთლობის პასპორტიზაციისათვის, მოწყობილობის ოპტიმალურ ოდატირთვის დაწესებისათვის, ხოლო ზმრად — ამ მოწყობილობის ნაკლებად ენერგოტევადი მოწყობილობით შეცვლისთვისაც.

სტატიები „სახალხო კონტროლიორები ყველაფერში უნდა ეფიოდნენ", „ზე ამბიწევნით ახასიათებს რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო ცონტროლიორთა მტი წილი ჯაფუფისა და საგუშაგოების სტილსა და მეთოდებს. საგულისხმოა, მაგალითად, საწარმო გაერთიანება „თბილისარძის" სახალხო კონტროლის მეთაური ჯაფუფის გამოცდილება. აქ შეძლეს დაენერგათ უნარჩენო ტექნოლოგია, ამასთან გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი. საწარმოს კონტროლიორები მოქმედებენ საწარმოს გარეთაც: მათთან ოთხმოცი მიმაგრებულია რძის პროდუქციით მოვაჭრე მაღაზიებზე, მუდამ და ყურადღებით ითვალისწინებენ მყიდველთა მოთხოვნებს.

რა გეგმები დაისახეს ქალაქის სახალხო კონტროლიორებმა მიმდინარე წლისათვის?

— როგორც ცნობილია, თბილისის შრომითმა კოლექტივებმა 1985 წლისათვის სხვა ვალდებულებათა შორის იკისრეს ასეთი ვალდებულებაც: მიაღწიონ ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობას ისეთი მოცულობით, რომელიც საჭიროა სამი დღის მანძილზე რესუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაობისათვის. ეს ამოცანა სავსებით რეალურია, თუმცა მისი გადაწყვეტისათვის ბევრი მეცადინეობაა საჭირო.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ენერგიის, ნედლეულისა და მასალების დაზოგვის რეზერვები ყველა დარგშია. ისინი რომ ავამოქმედოთო, ზოგჯერ საჭირო არ არის დიდი დანახარჯები, ტექნოლოგიური პროცესების ძირეული გარდაქმნა. მეტ წილ შემთხვევებში საკმარისია მხოლოდ ჯერთანი წესრიგის უზრუნველყოფა რესურსების ალრიცხვასა და მისი ხარჯვის ნორმირებაში, საჭიროა უფრო მკაცრად მოვკითხოთ უყაირათობისათვის.

ბზრად ეკონომიის რეზერვები გამოსავლენია. მათი აღმოჩენისათვის მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ლითონდამზოგავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებას. სწორად ეს მოთხოვნაა წამოყენებული. აბსანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიაში „ეგზეთარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე".

მომჭირნეობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის კონკრეტული პროგრამა დასახა სახალხო კონტროლიორთა საყავშირო თათბირმა, რომელზეც გამოვიდა ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო. ხელმძღვანელობენ რა ჩვენი პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, თბილისის სახალხო კონტროლიორები ყოველ საწარმოსა და მშენებლობაზე, ტრანსპორტის, ვაჭრობის, სახინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებში კვლავაც მტკიცედ იბრძოლებენ ჩვენი საერთო საქმისადმი უხარიანი, აყაირათიანი დამოკიდებულებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ სსკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებაში.

ყუათიანი საკვები პირუტყვს

საკვების მარაგის გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაში მცხეთის მეკვნახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებს დიდი დამსახრება გიუწია საკვებდამამზადებელმა საამქრომ, რომელიც მწყობრში ჩადგა. მისი ორი აგრეგატი ამუშავებს ვაზის ნასხლავს, ძირხვნეულს და მთლიანად უზრუნველყოფს ვეტამინიან საკვებზე ფერმის მოთხოვნილებას.

მეცხოველეობა მეურნეობის. განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. მთავარი ყურადღება დაეთმო მრავალწლოვანი ბალახების ნათესების გაფართოებას და საკვები საკარგულების ნაყოფიერების გადიდებას. მაგალითად, ოიწის ნათესის თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 25 ტონა მწვანე მასა გეგმით გათვალისწინებული 12 ტონის ნაცვლად. ამან შესაძლებელი გახადა საკმარისად უზრუნველეყოფილ პირუტყვი არა მარტო უხეში და წვნიანი საკვებით, არამედ ბალახის ფეხვნილის გრანულებითაც. მეურნეობაში ბალახის ფეხვნილის გრანულები დაამზადეს ერთიორად მეტი დგეგმებთან შედარებით.

— კარგად მომზადებული საკვები, — თქვა მეცხოველეობის მეურნეობაში. მოწონავთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირუტყვის გამოზამთრება ფარმატებით მიმდინარეობს იქ, სადაც საკვებს აძლევენ ნარეკვნილი და გრანულების სახით, შეაქვთ ულუფაში ვიტამინიანი დანამატები. ეს კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკვებდამამზადებელი საამქროების და საკვებ სამზადებელ ... ...

დიდი მწერალი და ჰუმანისტი

ა. პ. ჩეხოვის დაბადების 125 წლისთავის გამო



რუსული ლიტერატურის კლასიკოსის ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის სახელი ძვირფასია მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვის. დიდი ხელოვანი და ჰუმანისტი, საოცრად ახლოს მივიდა მკითხველის გულთან, რამეთუ ათასგვარ ცხოვრებისეულ თუ ადამიანურ მანკიერებას, მწყალვად და დაუნდობლად ამთარავნიდა თავის ნაწარმოებებში. განუზომელია მასშტაბი და მნიშვნელობა მწერლის უდიდესი მემკვიდრეობისა.

ჩეხოვის ქმნილებებს იცნობს ჩვენი პლანეტის ყველა ცივილიზებული ერი, მისი შემოქმედება ახლოგელი და საყვარელია ქართველი ხალხისთვისაც. ჩეხოვის მოთხრობები და პიესები სხვადასხვა დროს შესანიშნავად ითარგმნა ქართულად. ამ ბოლო დროს რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში გაჩნდა დიდი მწერლის ნაწარმოებები. მაგალითად „თოლია“ დაიდგა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, ხოლო „დათვი“ და „ხელის თხოვნა“, მაზარაძის სახელმწიფო თეატრში. ამჟამად სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რეჟისორი ჩხეველ თუმანიშვილი კინომსახიობის თეატრში ამზადებს „ალუბლის ბაღს“.

დიდი რუსი მწერლის ხსოვნას სათუთად ინახავენ საბჭოთა ადამიანები. ჩეხოვის მემორიალური მუზეუმები შექმნილია მოსკოვში, ტაგანროგში, იალტაში... ერთ-ერთი ასეთი მუზეუმია მოსკოვის მახლობლად შელიხოვოში, სადაც მწერალმა ექვსი წელი იცხოვრა და, როგორც ექიმმა, დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას, აქვე შექმნა მან ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

სურათზე: მწერლის კაბინეტი მელიხოვოს მუზეუმში.
ჯ. ნოსოვის ფოტო (საკადესი ფოტოკორონეა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ჟიულარის № 1 საუკეთესო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული თაობის კომეთნისტური აღზრდისა და სწავლების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან **ჟიულარის № 1 საუკეთესო სკოლა** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშარაშვილი.

ქ. თბილისი. 1985 წლის 25 იანვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ბიბათრის № 1 საუკეთესო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული თაობის კომეთნისტური აღზრდისა და სწავლების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან **ბიბათრის № 1 საუკეთესო სკოლა** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშარაშვილი.

ქ. თბილისი. 1985 წლის 25 იანვარი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში და სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ვალენტინ გრიგოლის ძე **თავზარაშვილს** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდება.

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-განადგურული და საზოგადო მოღვაწეობისა და საშეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ალექსანდრე ამირის ძე **ბაგომიტაოს** მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

ბანგრძელი დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამხედრო სანატორიუმის „ეშერის“ უფროსს ამხ. ვალიკო ზინოვის ძე **ჯობაგას** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ სანატორიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ბიბათრის № 1 საუკეთესო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული თაობის კომეთნისტური აღზრდისა და სწავლების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან **ბიბათრის № 1 საუკეთესო სკოლა** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშარაშვილი.

ქ. თბილისი. 1985 წლის 25 იანვარი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

28 იანვარი — საკადესი იუწყება

თანამშრომლობა საერთაშორისო ცხოვრების ეტალონია

საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ გაიყინოს ბირთვული არსენალები, მთლიანად აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდა, მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის შემუშავება და გამოყენება, თავიდან იქნეს აცილებული კოსმოსის მილიტარიზაცია, აღნიშნავენ საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც განმარტავენ ამბანაგ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს კანადელი სტუდენტის ლ. პიროს წერილზე და საბჭოთა ხელმძღვანელის მისალმებას მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მონაწილეებისადმი. გამოსვლორებებში მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის წინადადებას საქმიანად, კონსტრუქციულად აწარმოონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხებზე.

უდიდესი ინტერესით გამოიწვია კ. უ. ჩერნენკოს პასუხმა კანადელი სტუდენტის ლ. პიროს წერილზე, ქალაქ კალგარის სტუდენტის მიერ დასმული კითხვები უდავოდ აღელვებს დღეს მილიონობით ადამიანს, განაცხადა **მონრეალის რადიოს** კომენტატორმა. ადამიანებმა რომ წყნარად და მშვიდობიანად იცხოვრონ, საჭიროა არ იყოს ომის საფრთხე. საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა: უნდა დავიცვათ სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობის ნორმები, განვითარდეს მათ შორის ურთიერთობა თანასწორობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. როგორც მის პასუხშია ნათქვამი, სამუდამოდ უნდა აიღოთ ხელი ძალასა და მისი გამოყენებით დამუქრებაზე. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საერთაშორისო ცხოვრების ეტალონი გახდეს.

„მოსკოვმა, — წერს „**ვაშინგტონ პოსტი**“, — კვლავ გამოაქვეყნა მოწოდება შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განაცხადა, რომ მხოლოდ მშვიდობის საკეთილდღეოდ კონკრეტული მოქმედებით შეიძლება თავიდან აიცილოთ შიში მომავლის წინაშე, უზრუნველყოთ ხვალინდელი დღის რწმენა. კ. უ. ჩერნენკოს პასუხში ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის პოზიცია მშვიდობის პრობლემებზე. როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა თაობა დარწმენებულია: „მოსფლიის ადამიანებს უნარი შესწევთ წინააღუდგნენ ომის საფრთხეს, დაიცვან მშვიდობა“.

„საჭიროა შეწყდეს გამალებული შეიარაღება და მივაღწიოთ ურთიერთგაგებას“ — — ასეთია საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხის ლაკმტრიკი, აღნიშნავს იაპონური „**მაინიჩი**“.

მეორე იაპონური გაზეთი „**იომიური**“ წერს: „კ. უ. ჩერნენკო გარკვევით აცხადებს; არაფის არა აქვს მსოფლიო ბატონობის უფლება, ესოდენ უგანური ზრახვების განხორციელების ცდები კი შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს მთელ კაცობრიობას“.

დღეს არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ არ დაეშვათ ბირთვული ომის დაწყება, ხაზგასმით აღნიშნავს ინდური „**პატრიოტი**“. საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის დასაწყისი იქნებოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა კოსმოსში და ამავე დროს ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირების, საბოლოოდ კი მთლიანად მოსპობის გზით წინსვლა.

სათაურებით „უნდა შეეჩეროთ გამალებული შეიარაღება“, „დავიცვათ ჩვენი მშვენიერი პლანეტა ბირთვული კატასტროფისაგან“, „მშვიდობის საკეთილდღეო მოქმედებით უზრუნველყოთ ხვალინდელი დღის რწმენა“ — აქვეყნებენ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს პოლონეთის გაზეთები. „დიდი იუბილეს — ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის წელს, — წერს „**ტრიბუნა ლუდუ**“, — საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ გააფრთხილა მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე ბირთვული მანიაკები: „ვერავინ ვერ იბატონებს მსოფლიოზე“. „**ნოიეს დოიჩლანდს**“ (გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკა) კ. უ. ჩერნენკოს პასუხი მიაჩნია საბჭოთა კავშირის იმ გულწრფელი მისწრაფების ავტორიტეტად დადასტურებად, რომ არ დაუშვათ ბირთვული განადგურება, ჩვენი პლანეტა შეეინარჩუნოთ ისეთივე მშვიერი ჩვენთვისაც და იმათთვისაც, ვინც ჩვენს შემდეგ იცხოვრებს. ეს პასუხი, წერს შემდეგ გაზეთი, მოწმობს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთაფა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დამთავრებისთანავე შესთავაზა მსოფლიო გაერთიანებას.

„უნდა შეეჩეროთ გამალებული შეიარაღება!“ — ასეთია ლიტმტიკი მოსკოვიდან მიღებული მშვიდობიანი სიგნალებისა, წერს ჩეხოსლოვაკიის „**რუდე პრავო**“. ჯერ კიდევ 1946 წელს სსრ კავშირმა წარადგინა წამოაყენა სამედამოდ აიკრძალოს ბირთვული იარაღის წარმოება და ბომბებისა, მოისპოს მისი მარაგი, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნებოდა მსოფლიო დღეს, მოსკოვის ეს წინადადება რომ მიეღოთ? რარიგ შვებით ამოისუნთქავდნენ ადამიანები, სხვა სახელწოდებიც რომ მიბაძავდნენ სსრ კავშირის მაგალითს და ისინიც იკისრებდნენ ვალდებულებას — პირველმა არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი.

● **მაროკო**

გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები

რაბათი. გაზეთი „ალ-ბაიანი“ იუწყება, რომ მაროკოში ფართო საზოგადოებრივობისა და ქვეყნის დემოკრატიული ძალების მოთხოვნით გაათავისუფლეს ექვსი პოლიტიკური პატიმარი. ამავე დროს ხელისუფლებს მოუწოდეს, რომ ამნისტია გამოუცხადონ პროგრესისა და სოციალიზმის პარტიის 43 წევრს, რომლებიც დაპატიმრებული არიან.

თავის მხრივ, სახალხო ძალების სოციალისტური კავშირის პარტიის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ალ-ითიჰად ალ-იშთირაქი“ იუწყება, რომ გაათავისუფლეს პროგრესული ახალგაზრდა ლ ორგანიზაციის „ამ-შაბაბის ალ-ითიჰადიის“ ბევრი აქტივისტი.

● **დელი**

გამოძიება გრძელდება

დელი. ინდოეთის უშიშროების ორგანოები განაგრძობენ ქვეყნის, სახელმწიფო აპარატში გამოვლენილი დასაფარული სპეცსამსახურების ჯაშუშური ქსელის საქმიანობის გამოძიებას.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“, იუწყება საფრანგეთის სპეცსამსახურის გარდა ინდოეთში მოკალთაფული იყო ნატოს კიდევ რამდენიმე ქვეყნის დაზვერვა. თავდაპირველად, წერს გაზეთი, რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს ინდოეთში მომუშავე ფრანგების საქმიანობას, მაგრამ შემდეგ დადასტურდა, რომ ინდოეთის ხელისუფლ ორგანოებს აგროვებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ნატოს კიდევ სამი ქვეყნის აგენტები.

რაკეტაზე წარწერილია — „თავდაცვითი ხარჯების უდელი“ და „იაპონიის კონსტიტუციური შეზღუდვები შეიარაღების საკითხში“.

ძია სემი: ჰიდი, ჰიდი, ტარო-სან, ასე უნიათოდ რატომ მეხვარებიან?

● **იაპონია-აშშ**

დანაშაულებრივი ალიანსი

ქრისა ალექსეევმა

ტოკიო. ტოკიოს ოფიციალურად შეხვიდა ვაშინგტონს დაიჩქარის ორმხრივი კომიტეტის შექმნა „ნიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში რეპრესიული დიქტატურებისადმი ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული დახმარების“ სფეროში პოლიტიკის კოორდინაციისათვის. როგორც გაზეთი „იომიური“ იუწყება, იაპონიის მთავრობის ინიციატივით ორ ქვეყანას შორის უკვე მიღწეულია „პრინციპული მორიგება“. კონკურენტულად საქმე ეხება იმას, რომ „გაინაწილონ მოგალობანი“ პაკისტანს, სომალს, სამხრეთ კორეას, ცენტრალური ამერიკის პროამერიკული სამხედრო ხუნტებისათვის, აგრეთვე ავღანელი დეფშმანებისა და პოლპოტელთა ბანდების შენარჩუნებისათვის ფინანსური დახმარების მკვეთრი გადიდების საქმეში.

ამ მიზნით იაპონის მინისტრთა კაბინეტმა 1985 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დაგეგმა ეგრეთ წოდებული „საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის სამთავრობო სუბსიდიების“ 10 პროცენტით გაზრდა, რომელთა მეტი წილი ხმარდება ვაშინგტონისა და ტოკიოსათვის სასურველი რეჟიმების პოზიციების განმტკიცებას. როგორც გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ აღსტურებს, ამ „სტრატეგიულ დახმარებას“ აზიური აქვს საერთო „ჭუმანურ მოსაზრებებთან“ და აშკარად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ატარებს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამგვარი „სუბსიდიები“, ჩვეულებრივ, ხმარდება იარაღის შესაყიდვას, რეპრესიული აპარატის განმტკიცებას და მარიონეტული მმართველების პირად გამდიდრებას, რომლებმაც თავიანთი ამერიკელი და იაპონელი მფარველებისადმი ერთგულება გამოიჩინეს.

„სტრატეგიული დახმარების“ კომიტეტში „ტოკიო და ვაშინგტონი ამირებენ ოგრეთვე რეგულარულად შეათანხმონ ფინანსური შანტაჟის აქციები იმ განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებელ ანტიიმპერიალისტურ კურსს აბორიელებენ. რეიგანის ადმინისტრაციის მითითებით იაპონიის მთავრობა უკვე შეუერთდა ეკონომიკურ ბოიკოტს ნიკარაგუას წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის მხრივ „გამოუცხადებელი ომის“ მსხვერპლი გახდა... ახლა, იუწყება „ტოკიო სიმბუნი“, ვაშინგტონმა თავის მოკავშირეს შორეულ აღმოსავლეთში დააკისროს მილიტარისტული ხარჯების ნაწილი“.

„თავისუფალი“ არჩევნები ამერიკაში: ვაკანტური სავარძელი

ნიუ-იორკი. მაქნაციები ხმების დათვლისას ამერიკის შეერთებულ შტატებში „თავისუფალი“ არჩევნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ამის მორიგი დადასტურებაა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ნოემბრის არჩევნების დროს ინდიანის შტატში კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებული სკანდალი.

თავდაპირველად ამ შტატის მერად საარჩევნო ოლქში ბარჯვებულად გამოცხადებული იყო დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ფ. მაკლისი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ორ საარჩევნო უბანში ბიულეტენები შეცდომით ორჯერ დაუთვლიათ. გამოძვეს ერა „ჭუხილი“ ამის გამო, შტატის ხელისუფლებმა ხელახლა გადაანგარიშეს და გამარჯვებულად ცნეს მაკლისის მეტოქე, რესპუბლიკელი რ. მაკინტაირი. დემოკრატთა კანდიდატმა უკან არ დახია და საარჩევნო კომისიას დაბარალი, რომ მან მოგონილი საბაბით ერთი ხელის მოსმით არაკანონიერად ცნო სულ ცოტა 5 ათასი ბიულეტენი, მეტწილად ზანგი ამომრჩეველისა. ვითარება დაიძაბა. ორივე მეტოქემ მოითხოვა ხმების ხელახლა დათვლა შტატის თხუთმეტსავე ოლქში.

„თავიანთი ბიეების“ მხარდასაჭერად თავი გამოიღეს დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ლიდერებმა წარმომადგენელთა პალატაში. დემოკრატებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თე ვინ ჩაითვალოს არჩეულად, მიიღებს წარმომადგენელთა პალატის იდმინისტრაციული კომისია. ეს ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს რესპუბლიკელებს, რამეთუ ისინი კომისიაში, ისე როგორც მთელ პალატაში, უმცირესობას შეადგენენ და ამიტომ არავითარი იმედი არა აქვთ, რომ სასურველ შედეგს მიაღწევენ. რესპუბლიკელები დაეხებიან მოითხოვენ, რომ კომისიამ უბრალოდ დაამტკიცოს შტატის ხელისუფალთა გადაწყვეტილება. წინაადმდეგ შემთხვევაში მაკინტაირი იმუქრება, სასამართლოში ვიჩივლებო. მაშინ „მთელი ქვეყანა გაიგებს, რომ დემოკრატები არჩევნების შედეგების მოპარვას ცდილობენო“, განაცხადა მან. სანამ კინკლაობა გრძელდება, წარმომადგენელთა პალატაში ერთი საგრძნელი ვაკანტური და კაცმა არ იცის, თუ, ბოლოს და ბოლოს, ვინ და როდის დაიკავებს მას.

● **ზრი ლანაა**

განაგრძობენ ზემოქმედებას

ლონდონი. კოლომბოდან მიღებული ცნობებით, შეერთებული შტატების მთავრობა განაგრძობს ზემოქმედებას ქვეყნის იფიციალურ წრეებზე, რათა მიაღწიოს ზრი ლანკის ტერიტორიაზე „ამერიკის ხმის“ მსხვილი სატრანსლაციო სადგურის შექმნას. ცნობებში აღნიშნულია, რომ ტერიტორიიდან, რომელიც ამ ძირგამომთრნელი რადიოსადგურის მშენებლობისათვის უნდა გამოიყოს, უკვე გაასახლეს ბევრი ადგილობრივი მცხოვრები. კოლომბოში ამერიკელი წყაროები არ მალავენ, რომ სადგური გამოყენებული იქნება ამერიკული რადიომაუწყებლობისათვის აზიისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში, კერძოდ, მათ წინააღმდეგ მტრული პროპაგანდის მიზნით.

ხსოვნის ესტაფეტა

საქართველოს კომკავშირელმა ქალაშვილებმა და ჭაბუკებმა დაიწყეს ექსპედიცია „დიდი სამამულო ომის მატიანე“, რომლის დევიზია „არავინ და არაფერი დავიწყებული!“ ექსპედიციის მიზანია მოზარდი თაობა აზიაოს სამჭოთა ადამიანების გმირულ ბრძოლას, ჩაიწეროს და საფუძვლად შეინახოს ფაშიზტებთან ბრძოლის მონაწილე მათი ნათესავებისა და მახლობლების, მეზობლებისა და ნაცნობების, თანასოფლელებისა და თანამემამულეთა მოგონებანი საბჭოთა ხალხის დიადი მამაცობის შესახებ.

ამ მნიშვნელოვანი აქციის ინიციატორია გორის რაიონის სოფელ ქედერის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია. დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წინ ამ სკოლის უფროსკლასელებმა სოფელში მცხოვრებ ყველა ომის მონაწილეს სთხოვეს საბრძოლო დიდების სასკოლო მუზეუმს აჩუქონ ომის ფრონტის ფოტოგრაფიები — ფრონტელი წერილები და ფოტოსურათები, რომლებიც მათთან ინახება, პიონერებსა და კომკავშირელებს გააცნონ თავიანთი მხედრული გზა, რათა შთამომავლებს ესტაფეტით გადასცენ თითოეული ვეტერანის მონათხრობი. მათ კომკავშირელებს, ქალაქელ შვილებსა და ჭაბუკებს მოუწოდეს ესტაფმრნ ომის მონაწილეთა ოჯახებს, მხედველობიდან არ გამორჩეთ არც ერთი ფრონტელი, ესსუბრონ, დაფიქრებით ჩაიწეროს მათი ნაამბობი, რათა ახალი მასალებითა და ფიქტებით შეავსონ დიადი სამამულო ომის სახელოვანი მატიანე.

ძეგელეკ უფროსკლასელთა ინიციატივა, რომელსაც მხარი დაუჭერა საქართველოს ლკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ფართოდ გავრცელდა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტებს „დიადი სამამულო ომის მატიანის“ ექსპედიციის ომმწყობ შტაბში უთხრეს, მასში ჩაბმულია ათასობით ადამიანი და მოსწავლე, სტუდენტი, წარმოების ახალგაზრდა მუშაკი, მეცნიერი, პოეტი, მხატვარი, ჟურნალისტი.

კომკავშრის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას და ეწევიან ამ ჩამის ვეტერანთა კომიტეტთან, სამხედრო კომისარიატებთან, საზოგადოება „ცოდნა“ ორგანიზაციებთან, განათლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან, დოსაფის ორგანიზაციებთან, სამხედრო ნაწილების პოლიტგანყოფილებებთან მჭიდრო კონტაქტი.

ახალი წეს-ჩვეულებანი დღევანდელობის მოთხოვნაა

რესაუბლიკის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებები და რიტუალები. მაგალითად, მცხეთის რაიონის დღევანდელი ცხოვრება უკვე ძველი წარმოსადგენია მასობრივი სახალხო დღესასწაულის „ცხვითობის“ გარეშე, რომელიც ყოველწლიურად იმართება. ხაშურის რაიონის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ტრადიციული გახდა მუშად კურთხევის ცერემონია, პიონერი ხელფასის საზეიმოდ გადაცემა, ბასაწვევების გაცილება საბჭოთა არმის რიგებში სამსახურისათვის.

აღნიშნა რა ბევრსა და ხაშურის რაიონებში დამკვიდრებული ეს და სხვა დადებითი ტენდენციები, მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის პრეზიდიუმის სხდომამ აირჩია ეს ნაკლოვანებებს. ეკრძოლ ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას, ამ რაიონებში ადგილობრივ ორგანოებსა, საწარმოთა ადმინისტრაციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ისინი ვალდებულნი არიან დეტალურად გაერკვნენ თითოეული მუშის მდგომარეობაში, „რომელიც ტოვებს საწარმოს, აღმოაჩინონ სათანადო დახმარება, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში საწარმოში შექმნან შრომისა და მომსახურების ოპტიმალური პირობები.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომისა და სამემრულელო დისციპლინის ფონის ამაღლება. საერთოდ დისციპლინა და წესრიგი ყოველთვის და ყველგან იყო საჭირო, მაგრამ ამჟამად, როცა გიგანტურად გაიზარდა მეურნეობრობის მასშტაბი, როცა შრომის დანაწილების გაღრმავების საფუძველზე ეკონომიკური კავშირურთიერთობის ქსელი სულ უფრო რთული, ხშირი და, განშტოებული ხდება, ისინი განსაკუთრებით გეჭირდება.

საწარმოო დისციპლინის უხეში დარღვევაა პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან გათვალისწინებულის ვადების დარღვევით შესრულება, ზეგანაკვეთური მუშაობა და ეერიმობანა, სამუშაო დროს მუშაობა გაუმართლებელი მოწყვეტა კრებების, სემინარების, ზეგანდერების, სპორტული შეჯიბრებების, მხატვრულ თვითმოქმედი კოლექტივების წარმოდგენების, ტურისტული ლაშქრობების და სხვა ანალოგიურ ღონისძიებათა მოწყობის მიზნით.

ეს იმას ოროი ნიშნავს, რომ კრებები და სხდომები ან კულტმასობრივი ღონისძიებები საერთოდ არ უნდა მოვაწყოთ. მაგრამ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, უნდა ვეცადოთ, რომ მოვაწყოთ არასამუშაო დროს, თანაც კარგად მომზადებული და არა გაჭიანურებული სახით. მთა უმეტეს, მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ადამიანის ყურადღება ორატორის გამოსვლის მოსმენის დროს კონცენტრირდება ძირითადად შვიდი წუთის განმავლობაში, შემდეგ კი სუსტდება.

შრომის დისციპლინაზე მსჯელობისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში გვაქვს სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენა და სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება. ერთი მუშაკის მიერ ერთი სამუშაო დღის გაცდენა თითქოს უმნიშვნელია, მაგრამ თუ მის მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენენ (ე. ი. დავუშვებთ ყველა მუშაკის მიერ ერთი სამუშაო დღის გაცდენას), დავინახავთ, რომ ამით სახელმწიფო (1983 წლის მონაცემებით) კარგავს 3,6 მილიარდ მანეთის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, 1,5 მილიარდ მანეთის ეროვნულ შემოსავალს, 2 მილიარდ მანეთისაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას. არამცუთ მთელი სამუშაო დღის, არამედ თითოეული სამუშაო წუთის გაცდენის უარყოფითი შედეგიც საკმაოდ შესამჩნევია, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ერთ წუთში 1965 წელს თუ მხოლოდ 436,5 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა, ამჟამად 1,4 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას უშვებს.

შრომის დისციპლინის დარღვევა გაცდენებითა და დაგვიანებებით არ ამოიწურება, სამუშაოზე გამოცხადებულ მუშაკს მოეთხოვება საშემსრულებლო დისციპლინის მაღალი დონე. იგულისხმება დაკისრებული მოვალეობისადმი გულისხმიერი, შეგნებული დამოკიდებულება, შემოქმედებითი მიდგომა, აქტიურობა და ინიციატივის გამოვლენა უკეთესი შედეგების მისაღწევად. ეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი რეზერვია.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა გამომგობებლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამოყენება, ბრიგადული იჯარისა და დამრიგებლობის პრაქტიკაში დანერგვა, არაწარმოებითი სფეროს დარგთა ორგანიზებული ფუნქციონირება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა შრომითს კოლექტივებში და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრება ექსპლუატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა შრომის შემოქმედებითი ხასიათის გაძლიერების, წარმოების მართვაშ შრომელთა აქტიურად ჩაბმის, შრომელ ადამიანთა კომეწინაშის იდეალებთან ალრზღის მძლავრი საშუალებაა. თანამედროვე ეტაპზე მის განსაკუთრებულ ქმედითუნარიანობას ძირითადად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან შეერთების საფუძველზე მაღალ საწარმოო-მაჩვენებლებისათვის შრომელთა მასობრივი მოძრაობა, მისი საყოველთაო ხასიათი განსაზღვრავს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩვენს რესპუბლიკაში (1982 წლის მონაცემებით) სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 2,1 მილიონზე მეტი კაცი. მთავარია ამ საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრა, რომლის ცალკეული მაგალითები ჯერ კიდევ გვხვდება, და სოციალისტური შეჯიბრების დიდ პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად გამოყენება.

ლ. ჩიქავა,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

შენ გიგონავ, მოწყალეგის დაო

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლმა და მედმუშაკთა პროფკავშირის ქიროვის რაიკომმა მოაწყვეს თემატური საღამო — „შენ გიგონავ, მოწყალეს ბოლ დაო", რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხს გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა.

საღამოზე მოწვეულნი იყვნენ მედიცინის ღვაწლმოსილი მუშაკები, სამამულო ომის ვეტერანები, რომლებმაც გაბედულ ფრონტული ცხოვრების დიდი გზა. ვინ არ იცნობს გალინა ჯაშს, გამარჯვების დღის ბერლინში, რიხსტაგის კედელზე რომ გაკეთა სამამსხვრო წარწერა. ამჟამად იგი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. ღვაწლმოსილ მედიცინის დას მარგალიტა ახმეტელაშვილს, ვინ მოთვლის, რამდენი დაჭრილი მებრძოლი გამოუყვანია ფრონტის წინა ხაზიდან და შეუნარჩუნებია მათთვის სიცოცხლე. იგი თუმცა პენსიონერია, მაგრამ კვლავ ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება. ელზა შერიანი თბილისის ომის ვეტერან ქალთა სკ(ციის თავმჯდომარეა, მისი საბრძოლო ნათლობა ლენინგრადში დაიწყო და მთელი ბლოკადის განმავლობაში იქ იბრძოდა.

შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ ზინაიდა ოგლობლინა-კაციტაე II ხარისხის სამამულო ომის ორდენოსანი; პოლონეთის, გერმანიის განთავისუფლების მონაწილეები, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანები, შრომის ფრიადოსანი, ფარმაცევტი ალექსი ამირდოვი; პედაგოგი ლოლა ლაგვილავა. იგი 1942 წლის აპრილიდან ომის დამთავრებამდე იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, იყო მეტყველმფრქვევიანი ათმეთაური; ექიმი იულია გუნაატოვაც ასევე სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, ამჟამად კი ბალნეოლოგიური საავადმყოფოს განყოფილების გამგეა; სანეიტალდგრის თანამშრომელი ნოდარ ხინწილიძე, რომელიც 334-ე ლეგიონში სანიტართა ოცეულს უფროსი იყო.

საპატიო სტუმრებს მიესალმნენ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მურუსიძე, ექიმი თ. ახუთაშვილი, პოეტი ლ. სულაბერიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. დადიანი, მოგონებები გამოვიდნენ ომის ვეტერანები, ნაჩვენები იყო ნაწყვეტები დოკუმენტური ფილმებიდან, რომლებშიც ასახულია ქართველ მებრძოლთა საბრძოლო ეპიზოდები. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ბ. ზაუტაშვილი.

ნიადაგთმცოდნეობის მოჭირნახულე

ასი წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს გეოგრაფიის, ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის ფუძემდებლის, ქართული ნიადაგმცოდნეობის კეთილრის პიონერი გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დიმიტრი გედევანიშვილის დაბადებიდან.

მის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს ნიადაგური საფარის გეოგრაფიის, გენეზისის, ეკონომიკისა და აგროსაწარმოო თვისებების შესწავლა, ჩვენი სფეროს მეურნეობის განვითარება და მისი რეკონსტრუქცია.

განსაკუთრებით დიდია პროფესორ დ. გედევანიშვილის დამსახურება საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების კერის — ჯერ აგრონომიული ფაკულტეტის, ხოლო შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების საქმეში.

დიმიტრი გედევანიშვილი გორის რაიონის სოფელ კირბალიდან იყო. მან თავიდანვე დიდი ინტერესით მოჰკიდა ხელი სწავლას. სტუდენტობის პერიოდშივე იწყებს საეკნიერო მუშაობას, პირველი ნიადაგმცოდნე აკადემიკოსის კონსტანტინე დიმიტრის ძე გლინკას ხელმძღვანელობით, 1910 წელს მონაწილეობს შორეულ ალმოსავლეთში მოწყობილ ნიადაგმცოდნეობის ექსპედიციაში, 1911 წელს ზაფხულში თურქმენეთის, ხოლო 1912 წელს შავი ზღვის სანაპირო ნიადაგების შემსწავლელ ექსპედიციებში.

1913 წელს საგამოფენო კომიტეტის „რუსკაია რიველიას" დავალებით დ. გედევანიშვილმა შეაგროვა ფოთლიწია და ეწერი, ნიადაგების ნიმუშები, რომელიც ნიადაგური რუკასთან ერთად წარადგინა გამოფენაზე. გამოფენაზე ამ მასალის დიდი შეფასება ხვდა წილად, რაც პრემიითაც აღინიშნა.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე ფართო საზოგადოებაში და პრესის ფურცლებზე გაცხარებული მსჯელობა გაიმართა უნივერსიტეტის ფარგლებში. უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის შესაფერი ადგილის გამოძებნის თაობაზე. იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დ. გედევანიშვილი თავდადებით იღვწოდა ქართული უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისათვის.

დიდია დ. გედევანიშვილის ღვაწლი აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. იგი ბრალი ლექტორი იყო, რომელიც ნიადაგმცოდნეობას მშობლიურ ენაზე კითხულობდა; ამასთან ერთად მთელ თავის დროს ახალგაზრდობან ურთიერთობას და სტუდენტთა სწავლა-განათლებას ანმაირდა.

დ. გედევანიშვილი ყველგან, ლექციი იქნებოდა ეს, ლაბორატორიულ-პრაქტიკული შეცადინეობა, სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა თუ ჩვეულებრივი შეხვედრა და საუბარი, ყველა საშუალებებით უნერვიდა ახალგაზრდებს მამულშვილობას, შრომის სიყვარულს, სწავლისადმი ინტერესს.

როგორც ნიადაგმცოდნეობაში, ისე სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ძნელად მოიძებნება დიდი თუ მცირე საკითხი, რომლის განხილვა-გადაწყვეტაში დ. გედევანიშვილს არ მიეღოს მონაწილეობა და მისთვის ჩვეული ღრმა მეცნიერული არგუმენტაციის სფეროდან არ გადაეფინოს ფოთლიწიის დიდი პრაქტიკული თუ თეორიული მნიშვნელობის დასკვნები.

ჩაის კულტურის გაშენებისა და პლანტაციის ფართობების გადიდების შესახებ პირველ ხანებში მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. განსაკუთრებით წინააღმდეგ იყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსულტაციიდან მოწვეული ინგლისელი მეცნიერები დოქტორი ბანი და ბარბერი. უცხოელი მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოში ჩაის კულტურის გაშენებისათვის. ყველაზე მეტად ისინი ნიადაგურ პირობებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მათი აზრით, მეჩაიეობისათვის ეს ნიადაგები უვარგისია და მისი განვითარების რეალურ საფუძველს ვერ იძლევა.

დ. გედევანიშვილმა თავისი გამოკვლევების საფუძველზე ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით უარყო უცხოელი კონსულტანტების უსაფუძვლო „ბრალდება" და მეჩაიეობის განვითარების საბაზოებელი რეკომენდაციები შეიმუშავა. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში მეჩაიეობის ორგანიზაციის საგამოკვლევო საქმის განვითარება და ფილოგენერაგამძლე ვაზის ჯიშებისათვის შესაფერისი ნიადაგების შერჩევის თვალსაზრისი.

ეს ნიადაგების რუკა. ეს რუკა დემონსტრირებული იყო ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო მეორე კონგრესზე მოსკოვში.

უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის საქმეში ჯერ კიდევ მეტად ნაყოფიერი მუშაობის გამო 1930 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საკვალიფიკაციო კომისიამ დ. გედევანიშვილს მიაკუთნა პროფესორის წოდება, ხოლო დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის 1950 წელს საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის დადგენილებით მას დისერტაციის დაუცველად მინიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი დ. გედევანიშვილი მრავალი წლის მანძილზე უცვლელი, მაღალკვალიფიცირი კონსულტანტი იყო აგრონომიულ საკითხებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროებისა და მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო ტრესტებისა.

დ. გედევანიშვილი 1956 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1957 წელს — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. დ. გედევანიშვილი საკავშირო ნიადაგმცოდნეობის საზოგადოების საქართველოს ფილიალის უცვლელი თავმჯდომარე იყო. მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა შორის ბევრს დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა პროფესორ დ. გედევანიშვილის მოღვაწეობა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მაღალკვალიფიცირი სპეციალისტების მომზადების საქმეში. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

პროფესორი
ბ. ტალახაძე,
დოცენტი
რ. კირვალიძე.

ბედნიერ ნაოსნობას ვუსურვებთ „კაპიტან მაქაცარიას"

დიდხანს მეთაურობდა თენგიზ მაქაცარია სამგზავრო ლაინერს „საქართველოს". ძნელი, მაგრამ მჩქეფარე სიცოცხლით იცხოვრა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის საპატიო მუშამ, ლენინის ორდენოსანმა მაქაცარიამ.

და აი ბათუმის ნავსადგურის აკვატორიაში შემოვიდა ლაშარი თბომავალი, რომელზეც წარწერილია „კაპიტანი მაქაცარია".

ოეგარლა მიზომლდეთა მიერ საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთვის აწარებული ტაბრის გათვალისწინებული სხვადასხვა, ჩასასხმელი ტვირთის გადაზიდვისათვის. იგი შთამბეჭდავ შთაბეჭდილებას ახდენს: ხომალდის სიგრძე 150 მეტრს აღემატება, სიგანე 22,4 მეტრია. მას შეუძლია მიიღოს დაახლოებით 15 ათასი ტონა ტვირთი, მთავარი ძრავის სიმძლავრე — 7.200 ცხენის ძალაა.

ტანკერი აღჭურვილია გემთმშენებლობის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ავტომატიზაციის უმაღლესი კლასი აქვს. მეზღვაურებისთვის ჩინებული საყოფაცხოვრებო პირობებია შექმნილი.

შთამბეჭდავი იყო თენგიზ მაქაცარიას ნათესავებთან — მამასთან ვიქტორთან და დედასთან ნადეჟდა მაქაცარიასთან, ქალიშვილთან და შვილიშვილთან ეკატერინეთ თ. მაქაცარიას პორტრეტი მიართვეს.

ახალი თბომავალი დაათვალიერეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეფროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აპარის სოლოქი კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ, აეტონომიური ოლქის სხვა ხელმძღვანელებმა.

თავისი პირველი რეისის დროს ტანკერი ნავთობპროდუქტებს წაიღებს იტალიაში. (საქინფორმი).

ახალგაზრდული პროგრამით

„მოგზაურობა საოცრებათა სამყაროში" — ასე ჰქვია თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალ პროგრამას, რომელიც ახალგაზრდული კოლექტივის მონაწილეობით მომდინარეობს.

პროგრამაში ეკვილიბრტების, ეონგლიორების, ექსცენტრიკოსების, ილუზიონისტების, აკრობატ ეიმონის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დიდი თანის მფლობელის თამარ სამონეკოს გამოსვლები.

მთელ საღამოს მანეფუნ არიან კლოუნები ოლეგ კადეკოვი და მიხეილ ორლოვი.

● ●

სურათებზე: სამაერო ტანმოვარჯიშეები სერგი სემოვის ხელმძღვანელობით; „გაწვრთნილი დათვები" მომთვინიერებელ ი ი ოროვის მონაწილეობით; „გაწვრთნილი მაიმუნები" მომთვინიერებელი, ... ციარკის მსახიობთა საკავშირო კონკურსის დიპლომანტი ლუდმილა ტარუთინეა.

ჯ. ლომთაძის ფოტო.

კოსმოსური გაფრენების ობიექტივშია „ბორჯომი"

ბორჯომის ხეობის რაიონში აღმოჩენილ ყველა მინერალურ წყაროს ჯერ არა აქვს სახელი, მაგრამ უკვე დადგენილია, რომ მათი სადღეგრძელო დებიტი 200 ათას ლიტრს აღემატება. ჯერჯერობით მიმდინარეობს მათი თვისებების ყოველმხრივი შესწავლა. კვლევა წარმოძღვა კოსმოსური და ჰელიოფიზიკური გადაღებებს, სხვა ახალი მეთოდების მეშვეობით. ახალ მინერალურ წყლებს ახასიათებს „ბორჯომთან" შედარებით მარილის ნაკლები შემცველობა, სასიამოვნო გემო და სამკურნალო თვისებები.

დაზვერილი სიბადოების ექსპლოატაცია ყოველწლიურად 400 მილიონ ბოთლამდეა გაზრდილ მინერალური წყლის გამოშვებას.

მიწის სიღრმეში, სადაც სათავეს იღებენ წყაროები, ეკოლოგიური ზონასწორობის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე წყლების ქიმიური შემადგენლობის ატმოსფეროსთვის შემოშავებულ ლ ი ი მთი ექსპლოატაციის პერიოდულობის სისტემა. ბორჯომის სანატორიუმ 35 ჰექტოლიდან ახლა ათი მოქმედებს, დანარჩენები „ძალებს აღიდგენენ" და მეცნიერთა აუოუოდებლ ა ა კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ.

(საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

სათხილამურო სპორტი. ავსტრიაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე გამამაშვდა მედლების ბოლო კომპლექტები. ქალთა შორის 20 კილომეტრზე რბოლაში გიიმარჯვა ნორვეგიელმა გრეტე მოუკელმამ 59.34. მეორე-მესამე სპარიზო ადგილები დიაკვეს მისმა თანამემამფლეებმა ბრიტ პეტერსენმა (59.37,5) და ანეტ ბუმ (59.43,5). 50-კილომეტრიანი რბოლა ეიოთა შორის მოიგო ნორვეგიელმა ბუნდი სვანნა (2:10.49,9). მეორე ადგილზე გამოვიდა იტალიელი მაურილიო ფოტი (2:11.52,6), მესამეზე — ნორვეგიელი უვე ანელი (2:12.37,7). 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო იენს ვაისფლოგი (გდრ) — 225,3 ქულა (ნახტომები—91 და 89,5 მ). მეორე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა ანდრეას ფელდერმა — 216,0 (84,5 და 90,5), მესამე — ნორვეგიელმა პერ ბერგეტოდმა — 214,6 (84 და 89,5). საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ნორვეგიელები, რომელთაც 15 მედალი მოიპოვეს (5-5 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი). დანარჩენი მედლები ასე განაწილდა: ფინეთი — 9 (შესაბამისად 2,3 და 4), შვეიცარია — 4 (2,1 და 1), გფრ — 2 ოქროს მედალი, გდრ — 1 ოქროსა და 2 ბრინჯაოსი, სსრ კავშირი — 1 ოქროს მედალი, იტალია — 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოსი, ავსტრია — 2 ვერცხლის მედალი.

ციგაობა. ობერჰოფში (გდრ) დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე უკეთ იასპარეზეს მასპინძლებმა. ქალთა შორის საუკეთესო იყო შ. მარტინი, ვაკეებში კი გიიმარჯვა მ. ვალტერმა. მასპინძლებმა წყვეტილი რბოლაშიც იმარჯვეს. კვ საუკეთესონი იყვნენ ი. ჰოფმანი და ი. პეტჩი. წყვეტილი რბოლაში ბრინჯაოს მედალები მოიპოვეს მოსკოველებმა ვ. მელნიკმა და დ. ალეშკოვმა.

ფუალბურთი. ტაშკენტსა და ალმა-ათაში გიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **ტაშკენტი.** „კიევის „დინამო"-მოსკოვის „დინამო"— 2:7, თბილისის „დინამო"-სამხეადრო-სახლეთო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — 6:6, ტაშკენტის „მეხნატი"-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდი (ბაკო) — 8:10, ბაყოლთა გუნდი-თბილისის „დინამო" — 11:11, ცენტრალური სპორტკლუბი-კიევის „დინამო" — 9:8, მოსკოვის „დინამო"-ტაშკენტის „მეხნატი" — 17:9, **ალმა-ათა.** ლენინგრადის „ბალტიკა"-ხარკოვის „ლოკომოტივი" — 13:6, ლვოვის „დინამო"-მოსკოვის უნივერსიტეტი — 6:5, ალმა-ათის „დინამო"-მოსკოვის „მოსკვიჩი" 8:8, უნივერსიტეტი-„ბალტიკა" 7:8, „ლოკომოტივი"-ალმა-ათის „დინამო" — 8:13, „მოსკვიჩი"-ლვოვის „დინამო" — 6:9. ჯერ არ გამართულა ცენტრალური სპორტკლუბისა და „მეხნატის"-პირველი წრის მატჩი. ახლა გთავაზობენ ცხრილი ბუნდები ასე არიან გაწილაგებულნი: მოსკოველი „დინამო" — 21 ქულა, ალმა-ათის „დინამო" — 15, უნივერსიტეტი, თბილისის „დინამო", „მოსკვიჩი", ცენტრალური სპორტკლუბისა და ბაკოელთა გუნდები—12-12, „ბალტიკა" და ლვოვის „დინამო" — 10-10, კიევის „დინამო" — 8, „ლოკომოტივი" — 6, „მეხნატი" — 0.

ბადმინტონი. რიგაში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: სვეშნიკოვმა მოუგო ა. პეტროსიანს, გავრიკოვმა — სოკოლოვს. ტუმაკოვი დაუზავდა ჩერნინს, რაზუვაევი — გურეევს, ფსახისი — ჩერნინს, სვეშნიკოვი — ეინგორნს, ლერნერი — ლუტიანს, ფსახისი — კუპრეიჩიკს, აგზამთვი — ეინგორნს. მეოთხე ტურში ყაიმით დამთავრდა ჩერნინ-ბალაშოვის, პეტროსიან-გულკოს, ეინგორნ-რაზუვაევის, ლუტიანს-სვეშნიკოვის, გავრიკოვ-ლერნერის, ტუმაკოვ-სოკოლოვის და ფსახისი-ბიჭალიშვილის პარტიები. გელერმა ლერნერთან პარტია გადადო, გურეევიჩმა — გურგენიძესთან, კუპრეიჩიკმა — აგზამთვთან. ოთხი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულა აქვთ ბალაშოვს, გავრიკოვს, ლერნერს, ლუტიანს და ჩერნინს. გუშინ მეხუთე ტურის პარტიები გთამაშდა.

ვოლლეიბოლი. მოსკოვში დამთავრებულ ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე ორი გაგმარჯვება მოიპოვა ტალინელმა ერიკა სალუმაიემ. იგი სუფევეს-ში იყო ოროარიკ სპარნენტრთა, ისე 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში.

მაგიდის ჩოგბურთი. ერევანში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი. ქალთა ერთეულებში პირველობა მოიპოვა მოსკოველმა ფლორა მოლატო